564 №2

ხელშეკრულება#

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების ჩატარებასთან
დაკავშირებული სამართლებრივი დახმარების გაწევის თაობაზე

ქ. თბილისი 16.08 2011 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონის #108 საჯარო სკოლა (შემდგომში ,,დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **ეკა ოდილაძე** სახით ერთის მხრივ და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში ,,შემსრულებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის დავით კერესელიძის სახით მეორეს მხრივ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული სამართლებრივი დახმარების გაწევა (CPV:79418000), გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება შეადგენს 250 (ორასორმოცდაათი) ლარს.

2. მომსახურების გაწევა დასტურდება შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

3. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. დამკვეთი ვალდებულია:

1.1. შემსრულებელს, მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

2 დამკვეთი უფლებამოსილია

მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება.

3. შემსრულებელი ვალდებულია

დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

4. შემსრულებელი უფლებამოსილია

მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედება

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთი თვის ვადით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:	**შემსრულებელი:**
ს.ს.ი.პ. - ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რ-ნის #108 საჯარო სკოლა მის. ქ. თბილისი, შუამთის ქ. #20 ტელ. 276 76 52; 593 50 40 10 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი" ს/კ 208142776 ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE21BG0000000120275000 **დირექტორის მ.შ.** **ეკა ოდილაძე** _____ (ხელმოწერა)	ს.ს.ი.პ. – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მის. ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი" ს/კ № 202330566 ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE66BG0000000344269500 **დირექტორის მოადგილე** **დავით კერესელიძე** _____ (ხელმოწერა)